პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

გურამ გაბისკირიას ქუჩა
1 : 2294
გეოგრაფიული (გრძედი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეკატერინე ჩანადირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

წერილის ნომერი:**03-032527438**
თარიღი: **01/10/2025**

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 29 მაისის #112 დადგენილებით, სახელები მიენიჭა ივერთუბნის ტერიტორიაზე მდებარე 11 უსახელო ქუჩას. ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა საქართველოს ეროვნული გმირის, გურამ გაბესკირიას სახელი, თუმცა დადგენილების ტექსტურ ნაწილსა და დანართში ქუჩის სახელწოდებად მითითებულია გურამ გაბისკირიას ქუჩა.

ვინაიდან ხსენებული სახელდების დოკუმენტით რამდენიმე ქუჩას მიენიჭა სახელი, ასევე 2014 წელს საკრებულოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი იყო დადგენილება, ხოლო დღეს იგივე ტიპის სამართლებრივი აქტი განკარგულებაა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია 112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ნაცვლად მიზანშეწონილად მიიჩნევს ქუჩისთვის სახელის ხელახლა მინიჭებას.

გურამ გაბისკირიას ქუჩისთვის გურამ გაბესკირიას სახელის მინიჭების უზრუნველსაყოფად გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527448**
თარიღი: **01/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 29 მაისის #112 დადგენილებით, სახელები მიენიჭა ივერთუბნის ტერიტორიაზე მდებარე 11 უსახელო ქუჩას. ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა საქართველოს ეროვნული გმირის, გურამ გაბესკირიას სახელი, თუმცა დადგენილების ტექსტურ ნაწილსა და დანართში ქუჩის სახელწოდებად მითითებულია გურამ გაბისკირიას ქუჩა.
ვინაიდან ხსენებული სახელდების დოკუმენტით რამდენიმე ქუჩას მიენიჭა სახელი, ასევე 2014 წელს საკრებულოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი იყო დადგენილება, ხოლო დღეს იგივე ტიპის სამართლებრივი აქტი განკარგულებაა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია #112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ნაცვლად მიზანშეწონილად მიიჩნევს ქუჩისთვის სახელის ხელახლა მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბესკირიას ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გურამ გაბესკირია

(1947_1993)

ქართველი პოლიტიკოსი და ფეხბურთელი, პოლკოვნიკი, ქალაქ სოხუმის მერი, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა 1993 წელს ქართველების ეთნიკური წმენდის დროს მოკლეს. საქართველოს ეროვნული გმირი

გურამ გაბესკირია დაიბადა 1947 წლის 2 მარტს, ქალაქ სოხუმში. დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიკოსის სპეციალობით, თუმცა თავი გამოიჩინა როგორც ფეხბურთელმა. 1960-იანი წლების ბოლოს თამაშობდა სოხუმის „დინამოში“, მოგვიანებით კი კარიერა გააგრძელა სტავროპოლში, მინსკსა და კისლოვოდსკში, ბოლოს კი — თბილისის „ცსკა“-ში. 1972 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან იგი გახდა რესპუბლიკური დონის, 1974 წელს კი — საკავშირო დონის ფეხბურთის მსაჯი. 1973 წელს იგი მიიწვიეს ლანჩხუთის „გურიის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში.

1975-1979 წლებში მუშაობდა სოხუმის თევზკომბინატში, ჯერ მუშად, შემდეგ ოსტატად, გადამუშავების საამქროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. ეისკის თევზის მრეწველობის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ გადაყვანილ იქნა სოხუმის მეთევზეთა კოლმეურნეობის სქურჩის თევზის გადამუშავების საამქროს უფროსად. 1987 წლიდან სოხუმის თევზკომბინატის დირექტორია.

1989 წელს სსრკ-ში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის შედეგად ყველა ქართულმა გუნდმა, სოხუმის „დინამოს“ გარდა, დატოვა საბჭოთა ჩემპიონატი. გურამ გაბესკირიამ მონაწილეობა მიიღო საფეხბურთო კლუბ სოხუმის „ცხუმის“ დაარსებაში, რომელიც თამაშობდა ახლადშექმნილ საქართველოს საფეხბურთო ლიგაში. გურამ გაბესკირია აგრეთვე გახდა კლუბის პრეზიდენტი. 1991 წელს იგი მონაწილეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში, თუმცა თავისი კანდიდატურა მოხსნა თამაზ ნადარეიშვილის სასარგებლოდ.

1992 წელს გურამ გაბესკირია გახდა სოხუმის მერი და 1993 წელს, აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს, გაწევრიანდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ მინისტრთა

საბჭოსა და თავდაცვის საბჭოში. 1993 წლის 27 სექტემბერს, როდესაც ქალაქი სოხუმი რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს, მან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან (ჟიული შარტავა, რაულ ეშბა, მამია ალასანია და სხვები) ერთად, უარი განაცხადა ალყაში მოქცეული ქალაქის დატოვებაზე და აფხაზი და დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკიების მიერ ტყვედ იქნა აყვანილი. ვიდეო-მასალების, ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტებისა და მოვლენათა შესახებ თვითმხილველთა გადმოცემების მიხედვით, დატყვევებული მთავრობის წევრები და მათი თანმხლები პირები აფხაზმა და დაქირავებულმა ჩრდილოკავკასიელმა ბოევიკიებმა ძალით გაიყვანეს პარლამენტის შენობის გარეთ და მოსთხოვეს დაჩოქება, რაზეც გურამ გაბესკირიამ მათ რუსულად უპასუხა: „არასდროს ჩემს სიცოცხლეში!" ტყვედ აყვანილი მთავრობის ყველა წევრი, მათ შორის გურამ გაბესკირია, აფხაზმა ბოევიკებმა დახვრიტეს. 2005 წელს ამერიკელმა ჟურნალისტმა მალკოლმ ლინტონმა თბილისის არტ-გალერეაში მოაწყო მის მიერ აფხაზეთის ომის დროს გადაღებული ფოტომასალების გამოფენა, სადაც გურამ გაბესკირიას შვილმა ვლადიმერ გაბესკირიამ ცხედრებს (ჟიული შარტავასა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად) შორის ამოიცნო მამამისი, რომელიც აშკარად ჩანს ერთ-ერთ ფოტოსურათზე.

2017 წლის 27 სექტემბერს, გურამ გაბესკირია სიკვდილის შემდეგ, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ დაჯილდოებულ იქნა საქართველოს უმაღლესი ჯილდოთი — საქართველოს ეროვნული გმირის წოდებითა და ორდენით. 2017 წლის ოქტომბერში გურამ გაბესკირიას ნეშტი იდენტიფიცირებულ იქნა და სამხედრო პატივით დაიკრძალა თბილისში.